ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2879088

ნომერი: AR1446878

თარიღი : 06.10.2016

გაცემის თარიღი : 07.10.2016

გაცნობის თარიღი : 11.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცისკრის , N 6 , შესახვევი ცისკრის N4, ქუჩა გურჯაანი N1 , (ნაკვეთი N46/5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაირამაშვილი პ/ნ 01024066547
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2016 წლის №2815747 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 06.10.2016 წლის #AR1446878 განცხადებით მომართა დავით ბაირამაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 05/09/2016 წლის №2815747 ბრძანებაში, ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2016 წლის №2815747 ბრძანებით ქალაქი თბილისი, ქუჩა ცისკრის, N6, შესახვევი ცისკრის N4, ქუჩა გურჯაანი N1, (ნაკვეთი N46/5)-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანებაში მითითებული საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად (კ2), კ2=2.1-ის ნაცვლად დაფიქსირებულია - კ2=0.1. რის გამოც, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს - კ2=2.1.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2016 წლის №2815747 ბრძანებაში და საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად დაფიქსირდეს - კ2=2.1. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2016 წლის №2815747 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.